საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/69

ქ. ბათუმი 14 სექტემბერი 20

ბსუ-ს სტატუსშეჩერებული სტუდენტების 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სასწავლო პროცესში დაბრუნების საგამონაკლისო წესის შესახებ

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის N286 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 აგვისტოს N536 დადგენილებით დამტკიცდა ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დასაფინანსებლად სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის წესი და პირობები''. ამ სამართლებრივი აქტის საფუძველზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის 2020 წლის 03 სექტემბრის MES 2 20 0000769517 წერილის დანართის შესაბამისად ბსუ-ს შესაბამისი სტუდენტებმა შესაძლებელია მიიღონ სოციალური დახმარება 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის და 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურის დაფინანსება. ამავე წერილის თანახმად, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს წერილის დანართში (დანართი 1 და დანართი 2) აღნიშნული, მაგრამ სტატუსშეჩერებული სტუდენტების, მათივე მოთხოვნის შემთხვევაში, **2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სასწავლო პროცესში დაბრუნება,** რათა მათ ისარგებლონ სოციალური დახმარების მიღების უფლებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბსუ-ს სასწავლო პროცესში უნდა დაბრუნდნენ ის პირებიც, რომლებსაც სხვადასხვა წელს სტუდენტის სტატუსი შეუჩერდათ გაზაფხული სემესტრში და საჭიროებდა შიდა მობილობის წესით სტუდენტის სტატუსის აღდგენას, თანახმად ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა“ და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის წესისა“.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, მე–13 და 66–ე მუხლების, „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის N286 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 აგვისტოს N536 დადგენილებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დასაფინანსებლად სოციალური დახმარებით უზრუნველყოფის წესი და პირობები''-ს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების

დეპარტამენტის 2020 წლის 03 სექტემბრის MES 2 20 0000769517 წერილის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს, ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს №06-01/44 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის 2020 წლის 03 სექტემბრის MES 2 20 0000769517 წერილის დანართებში (N1, N2) აღნიშნული ბსუ-ს სტუდენტები, რომლებსაც სხვადასხვა საფუძვლით, სხვადასხვა წელს შეუჩერდათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი, პირადი განცხადების საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დაიშვან ბსუ-ს სასწავლო პროცესში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან, **რათა მათ ისარგებლონ ამ სემესტრის სწავლის დაფინანსების მიზნით სოციალური დახმარების მიღების უფლებით.**

2. ბსუ-ს სტუდენტს, რომელსაც ბსუ-ს ინიციატივით სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო გაზაფხულის სემესტრიდან (მაგრამ სტუდენტი შესაბამისი ფაკულტეტისგან არ ფლობდა ინფორმაციას აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის სამართლებრივი შედეგის შესახებ), რექტორის ბრძანებით დაიშვას ბსუ-ს სასწავლო პროცესში 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან, პირადი განცხადების საფუძველზე (საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის კრედიტების აღიარების კომისიამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესში დაბრუნებამდე გავლილი კრედიტების აღიარების დასკვნის შედგენა და სწავლის სემესტრის განსაზღვრა).

3. გასული სასწავლო წლის (სემესტრის) სწავლის ფინანსური დავალინების მქონე ბსუ-ს სტუდენტი, რომელიც რექტორის ბრძანებით 2020-2021 სასწავლო წლიდან დაბრუნდება სასწავლო პროცესში, ამავე ბრძანებით განემარტოს, რომ 10 დღის ვადაში წარმოადგინოს განცხადება უკვე დარიცხული ფინანსური დავალიანების ნაწილ-ნაწილ გადახდის შესახებ შეთანხმების გაფორმებისათვის (მიუთითოს გადახდის დრო/განრიგი).

4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. დადგენილება ძალაშია გამოცემისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**